

პიპიტელაბი ელექტრონული კაბინით მიმართავენ თვითმმართველობას



ალიონი. ერთ კვირაზე მეტა სოფელ ძიძითის მოსახლეობა მდინარე სუფსაზე კარიერის ამოქმედებას აპროტესტებს. კარიერზე, რომელიც შპს „აკეთისაგან“ ივარით აიღო შპს „სამხ მების“, გაიშრება ხალხმრავალი აქციები და კარიერის მოწყობის საშუალებები

გორდლაძე. – კომანა „აკეთის“ ლიცენზია არის კანონდარღვევით მიღებული, ხოლო კომანა „სამხ მების“ ხელშეკრულება არის სავსებით არა რეგისტრირებული წყლის ეროვნულ სააგენტოში. ეს არის დოკუმენტაცია, რომელიც არ წარმოადგენს სამართლებრივ აქტს წყლის მოსაპოვებლად. ლიცენზიის გაცემისას ნასარგებლო აქტი 80 აინი წლების რუკებით და საკარბადადო ნაკვეთები არ იყო მშენ და რეგისტრირებული და ზეპირად გაიყა ნებართვა.

კომანა „სამხ მის“ ხელშეკრულებების საეკო დოკუმენტაციას ხელის მშენებლობის სპორტება გზების დეპარტამენტის ნებართვა რაც მუნიციპალიტეტთან შეთანხმებული, არ აქვთ.

ლიცენზიის ფარგლებში მოქცეულა ათობით მოქალაქეთა ფართობები. ძიძითის მოსახლეობის

კერძო ნაკვეთებზე გაცემული გეოლოგიური დასკვნა-აღნიშნა ირმა გორდლაძე.

ზურაბ ზარატი, ადგილობრივი: მცხოვრები – მე არ მაინტერესებს, ვინ დგას ამ კომანიების უკან. ჩვენ კანონს ვცემთ პატივს და კანონიერად ვმოქმედებთ;

თორნიკე გოგუაძე, საკრებულოს დეპუტატი: – არანაირი პოლიტიკა არ დგას მოსახლეობის პროტესტის უკან. უკანონობას ვებრძობი, მოსახლეობა საკუთარ უფლებებს, სოფლის ინტერესებს იცავს. ლიცენზია დარღვევითაა გაცემული, საშუალებაც დარღვევით დაიწესა. ხელის აგების უფლება არ ჰქონდათ. წარამარა ხომ არ ვივლით სუფსის პირზე. ექსპერტიზა კვლავ კარიერთან, გზისპირაზე დგას. მოსახლეობის ნაწილს საჯარო რეესტრში აქვს მიწა დარეგისტრირებული, ზოგს-მიღება-ჩამარების აქტი აქვს.

ოლეგ ხინიკაძე, ადგილობრივი მცხოვრები: – სოფელს თუ სახსნა-სათესი არ ექნება, რა გინდა სოფელში. ნუთუ სოფელს ასეთი მწვავე საკითხის გადაწყვეტისას არაფერი არ უნდა ჰქონდეს?

– დასახლებულ კომანას მუნიციპალიტეტში არანაირი გეგმა არ წარმოუდგენია, თუ როგორ იყოს დასახლებები-რეკულტივაციის კარიერის ლიკვიდაციის გეგმა და ა.შ. მუნიციპალიტეტის მერია დაიცავს მოსახლეობის ინტერესებს – განაცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამშრომელმა **თეიმურაზ ჭანუყვამძემ.**

– რატომ არ მოვიდა სოფლის ცილობაზე კომანა „სამხ მების“ თავმჯდომარე ივერი ფულტყარაძე? რა, არ აქვს არაფერი სათქმელი? რა დოკუმენტებს წარმოგიდგინებდა – ვითარა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

საბოლოოდ ძიძითელები ასე ჩამოყალიბდნენ: ოზურგეთის მხოლოდ სამართლებრივი გზით: შეგროვებენ ხელმოწერებს ელექტრონული პეტიციისათვის. ასევე შედგა შესაბამისი ოქმი და არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკო“-სთან ერთად სარჩელით მიმართავენ ოზურგეთის სასამართლოს.

დეპუტატმა თორნიკე გოგუაძემ საკრებულოს სხდომაზე სთხოვა საკრებულოს მხარი დაუჭიროს სოფელ ძიძითის მოსახლეობას, კომპანია „აკეთის“ და „სამხ მების“ მიერ სოფლის მოსახლეობის კუთვნილ საფარვლებზე კარიერთან დაკავშირებით და თანა-სოფლელების 400-ზე მეტი ხელმოწერაც წარმოადგინა.

ამჟამად კი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკო“ ძიძითელებთან ერთად პეტიციაზე ხელმოწერებს აგროვებს, რომლითაც ისინი საკრებულოს მიმართავენ.



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყ ო რ ვ ე ლ კ ვ ი რ ი მ უ ლ ი ბ ა მ ო მ მ ა . № 13 (10349) 22 ო მ ბ ე მ ი, 2020 წ. შ ა ს ი 60 თ ე მ ო რ ი .

ბ ა ზ ე მ ი ბ ა მ ო ლ ო ს
1931 წ ლ ი ს 5 ო მ ბ ე მ ი ბ ა მ

პრეზიდენტი ადგილობრივი ტურიზმის მხარდაჭერის მიზნით გურიის რეგიონს სტუმრობდა



საქართველოს პრეზიდენტმა, ადგილობრივი ტურიზმის მხარდაჭერისა და პოპულარიზაციის მიზნით, 16 ივნისს გურიის რეგიონის ორკარის კანიონი და აგროტურიზმში ჩართული რამდენიმე საოჯახო მეურნეობა დაათვალიერა.

როგორც სოფლის მცხოვრებლები აცხადებენ, ზღაპრული სილამაზის ორკარის კანიონის არსებობის შესახებ ბევრმა ადგილობრივმა არაფერი იცის. მისი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა და პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს გურიაში ადგილობრივი ტურიზმის განვითარებასა და სოფლის გაძლიერებასაც.

პრეზიდენტმა მონინახულა სოფელ წითელთაში აგროტურიზმში ჩართული საოჯახო მეურნეობა და საოჯახო სასტუმრო „კომლი“, ჩაის პლანტაციითა და ფერმით, ასევე სოფელ გორაბერ-

რა ბედი ელით მემორე მსოფლიო ომის ბმირების ბიუსტებს?

ალიონი. „ეს ოზურგეთის სირცხვილია. არ მგონია, ასე ექცეოდნენ ომის გმირებს ევროპაში... იქნებ მოხდეს ამ ძეგლების რესტავრაცია, გამოიანოს ადგილი მათ დასადგმელად“ – გაზეთ „ალიონის“ ამ პოსტს, რომელიც მეზემების წინ, მეორე მსოფლიო ომის გმირების უთავბოლოდ დაფრული ბიუსტების ფოტოს დაურთეთ, საზოგადოების დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამიტომ კომენტარები ოზურგეთში ცნობილ ადამიანებს ვთხოვეთ:

ავთანდილ სურგულაძე, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის დირექტორი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე: „ამ საკითხთან დაკავშირებით, ცნობილ არქიტექტორს საყვალა სალუქუაძესთან ერთად ვმსჯელობდით. იყო ყველაზე ოპტიმალური მოსაზრება, რომ ძეგლებს გაუკეთდეს რესტავრაცია, შეიძლება ზომაში ცოტა დაატარადეს და განლაგდეს გმირთა მოედანზე, სადაც ომში დაღუპულთა ობელისკი, მარადიული ცეცხლია. არა მარტო ეს ძეგლები, არამედ სხვა გმირებისაც, მაგალითად, ზაზა დამენიასი, ყველასი, ვინც შერაცხულია გმირად.“

ამასთან, უნდა გაიმჯნოს ბაღი სპეციალური დაგეგმარებით. ჩემი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეობის დროს ამ თემაზე იყო მსჯელობა. ვფიქრობდით,



ბაღი გაჭრილიყო „ბავშვთა სამყაროს“ წინ და ის ნაწილი უნდა დარჩენილიყო, როგორც გმირების ალეა. მე არჩევნებმა მოგვისწრო, – დაიწყო საუბარი მუნიციპალიტეტის გაყოფაზე და სხვა თემებზე გადავერთეთ. ასევე განიხილებოდა და პროექტიც მომზადდა თეატრალურ სკვერში გამოჩენილი ქართველი ხელოვნების ალეის მოწყობის შესახებ. იმიტომაც გავხსენით შესავლარში „შვიდკაცას“ ვარსკვლავი. წელს სრულდება მიხეილ შავიშვილის 100 წლის იუბილე და შესაძლებელია ბიუსტის გაკეთება და დადგმა.“

მანანა ლომაძე, ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდების მცველი: „გმირების ძეგლები უნდა განთავსდეს იქ,

სადაც მარადიული ცეცხლია. მაგრამ უნდა იყოს შედარებით მცირე მასშტაბები. წარმოდგენილი ექვსი გმირიდან ორი ერთი ოჯახის წევრია. ეს ძალიან იშვიათობაა. ასეთები არიან ჩვენგან ლესელიძეები, ბიქტორი და კონსტანტინე. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სულ 11 ოჯახი იყო ასეთი. რადგან ყველაფერი ქრება და მუხსიერებიდან იკარგება, ჩვენს მომავალ თაობას რომ დარჩეს მოგონებებში, უნდა გაკეთდეს პატარა დაფა, სადაც იქნება ინფორმაცია მოცემული, რამდენი წავიდა მეორე მსოფლიო ომში, რამდენი დაიღუპა. ვარდა ამ ექვსი გმირისა ჩვენი რაიონიდან ძალიან ბევრმა გამოიჩინა თავი სამამულო ომში. კარგი

იქნება დაფაზე იყოს მოკლე ინფორმაცია მათ შესახებ, მათივე სურათებით. ახალგაზრდები ნახავენ, მოიკითხავენ ინფორმაციას მათ შესახებ. სასურველია კეთილმოეწყოს სკვერი და ადგეს ძველი ჭახრაკიანი ჭა, რომელიც იყო საპარასკევოს უბანზე ამბაკო სალუქუაძის ჭად ცნობილი. ხელისუფლებას, დღევანდელსაც და წინასაც, ამ პრობლემებზე ეგსაუბრებოდით. მათგან უარი არასდროს იყო... მაგრამ ახლა ის მომენტია, როცა საკითხი აუცილებლად უნდა მოგვარდეს.“

ბეგი სიორიძე, ბიზნესმენი, ქ. ოზურგეთის ყოფილი მერი:

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთიერ გვერდებზე ფერადი ბუკლევის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა:
ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთენტიფიკაციის ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურების კომპიუტერული უზრუნველყოფა გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
ტელ: 558 499 100

გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩმაბათი აციონზე

«ალიონი»

რა ბედი ელით მეორე მსოფლიო ომის ბიშოპის ბიუსტებს?

„ნიშნისმოგებით არ ვსაუბრობ, მაგრამ როგორც კი ქალაქის მერი გავხდით, პირველად მივედი მუზეუმში, ძეგლები რომ ენახე, მაშინვე დავიწყეთ ფიქრი, რა უნდა მოგვეხერხებინა ბიუსტებისთვის. მაგანნი ცდილობენ, დაარწმუნონ საზოგადოება, რომ ძეგლები ჩემი მემკვიდრის პერიოდში ჩამოვსვენით და იმ ტერიტორიაზე გავვცით მალაზიის მშენებლობის ნებართვა. ეს მოხდა დაახლოებით 2011 წელს, ბევრად ადრე, ვიდრე მე ქალაქის მერი გავხდებოდი. რაც შეეხება მალაზიის ნებართვას, ახლაც იგივე აზრზე ვარ, ბევრი მალაზია უნდა გაიხსნას ჩვენს ქალაქში, ბევრი რესტორანი და სავაჭრო ცენტრი. ქალაქი ქალაქს უნდა დაეშვას. მალაზიის ნებართვა გავვცით, მაგრამ ბიუსტები ჩვენ დროს არ ჩამოხსნილა. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ბიუსტები განლაგებული გვქონდეს მოედანზე, ობელისკთან. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ, ვერ მოვაწარმოეთ. კარგი იქნება, გამიხარდებოდა, თუ ახლა გააკეთებენ. ეს მუნიციპალიტეტის გადასაჭრელი საკითხია, მაგრამ თუ მოხდება ისე, რომ არავინ ვერაფერს არ მოაქცევს, ამ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის თანხმობით, ჩვენ ბიზნესმენები შევეცდებით, გავერთიანდეთ ამ საქმის ირგვლივ.“

მეგობარ ბიზნესმენებთან შეხვედრა საუბარი და წინააღმდეგი არავინ არის. ჩვენ მოვინდომებთ მაქსიმალურად. არ ვდებთ ეს პატარა თანხა. სწორად გამოვეთ, ეს მინიციპალიტეტმა უნდა გააკეთოს, ეს არ არის საკვლელო მოქმედება. მაგრამ თუ დადგება დღის წესრიგში საკითხი, თუნდაც თანდაფინანსებით მუნიციპალიტეტმა და ბიზნესის წარმომადგენლებმა გააკეთოთ, ეს იქნება კარგი საქმე. ისეთი საქმე, რომელიც სირცხვილია, რომ დღემდე გაუკეთებელია.“

ლავრენტი ბიგვაია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

თავმჯდომარე:
„მუნიციპალიტეტის მერიამ გონივრულ ვადებში უნდა უზრუნველყოს ძეგლების განთავსებისათვის სათანადო ადგილის გამოყოფა და მოწყობა. რამდენადაც ვიცი და სპეციალისტები განმარტავენ, ძეგლები მონტაჟამდე საჭიროებს რესტავრაციას. აღნიშნული სამუშაოების შესრულება მოითხოვს საკმაოდ სოლიდურ დანხარჯებს. მაგრამ რამდენადაც ცნობილია, ძეგლების რესტავრაციის საქმეში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს საზოგადოების გარკვეული ნაწილი. მათ შორის კერძო ბიზნესის წარმომადგენლებიც.“

პრობლემასთან დაკავშირებით, რამდენჯერმე საკრებულოშიც იყო მსჯელობა. გარკვეული წინადადებები მომზადების სტადიაშია და უახლოეს ხანში გადაეცემა მერიას.“

ათანადილ თავართილაძე, მხატვარი, ოზურგეთის სურათების გალერეის დირექტორი: „ გმირთა მოედანზე, ობელისკთან უნდა დაიდგას ძეგლები. მივალთ და პატევს მივაგებთ. ერთ სივრცეში უნდა მოვაქციოთ, გაფანტული არ უნდა იყოს. სავსებით შესაძლებელია მათი რესტავრაცია.“

აღნიშნულ თემაზე კომენტარისთვის მივმართეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახურის უფროსს. ეკატერინე მეგლაძის თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ააირმახს მსოფლიო ომის ბიშოპის ბიუსტების რამსტაპრაციის-განთავსების თემა ღარბაჟის სხლომასზე ბანისი-ლოს და შხსაბამისი ინფორმაციის მიწოდების საზომად.“

ხმაურიანი საკრებულოს სხდომა მუნიციპალიტეტის ფინანსებით



17 ივნისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში გამართულ გასული სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ ორ საკითხზე იმსჯელა და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიიღო.

სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე დავით ღარბაძე უძღვებოდა.

საკრებულომ ცნობად მიიღო 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში, რომელსაც საკრებულოს კომისიისა და ფრაქციებში დეტალური განხილვა უსწრებდა.

მწვავე კამათი გაიმართა მეორე საკითხზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **ალეკო მტეშელმა** წარმოადგინა. მის მოხსენებაში იყო საუბარი რა ინფრასტრუქტურულ პროექტებს მოხმარდება ვეროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით გათვალისწინებული 701 000 ლარის გრანტი.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **ლავრენტი ბიგვაია** წარმოადგინა დასახელებული და აგრანულ საკითხია, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიების ერთობლივი დასკვნა გარკვეული შენიშვნებით.

ლავრენტი ბიგვაიას თქმით, ვეროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მუნიციპალიტეტისთვის ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი იქნებოდა

გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული ისეთი პროექტების შეტანა, როგორცაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების საწარმო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართვის მიზანშეწონილობის საბიუჯეტო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება; კურორტ გომისძის და ურეკის ტერიტორიაზე ვიზიტორთა ცენტრების პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; ჩაისა და სუბტროპიკული ხილის სახლისა და აუქციონის ორგანიზებისთვის ხელშეწყობი ღონისძიებების დაფინანსება და ა.შ.

ალეკო მტეშელმა ასევე ის ობიექტური მიზეზები, რომლის გამოც ვერ განაგრძოს კურორტ ნასაკრალის განვითარების გეგმის განხორციელება, ვერ ჩაატარებს ჩაისა და ხილის ფესტივალი, რომელშიც აზერბაიჯანისა და სომხეთის წარმომადგენლებსაც უნდა მიეღოს მონაწილეობა.

მთავარი კამათი მიმდინარეობს დასახელების გარშემო წარმართა. დეპუტატ ლავრენტი ბიგვაიას თქმით, დოკუმენტის დასახელება – „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020-2023)“-თითქმის იდენტურია საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო განაცხადის მთავარი შემადგენლის – „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების პრიორიტეტები“-ს დასახელებისა, რომელიც უკვე დამტკიცებულია, მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტზე თანდართული მთავარი დოკუმენტია.

კომისიის დასკვნით, უმჯობესი იყო დოკუმენტის შემდეგი დასახელება ფოილი-ოვო: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (2020-2022)“.

ალეკო მტეშელმა არ დაეთანხმა ამას და განაცხადა, რომ 23 მუნიციპალიტეტში სწორედ მათ მიერ წარმოდგენილი, ანალოგიური სათაურით მიიღეს დოკუმენტი, რადგან ვეროკავშირის მოთხოვნებთან უფრო თანხვედრაშია.

საკმაო ხანს გაგრძელდა მწვავე კამათი ორ ოპონენტს შორის, რომელშიც შემდეგ დაბა ნასაკრალის მაჟორიტარი დეპუტატი **ბესო ქათამაშვე** ჩაერთო.

დეპუტატმა **გონა კოლაძე** ითხოვა, რომ გადაწყვეტილების მიღების წინ შეეფერხებინა დოკუმენტის განხილვის უმრავლესობა შეგრებელიყო, მაგრამ მისმა წინადადებამ ხარდაჭერა ვერ პოვა.

საბოლოოდ ითქვა, რომ საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და აგრარულ საკითხთა კომისიის ერთობლივი დასკვნაში თავი მოიყარა მნიშვნელოვანმა რეკომენდაციებმა და მოსაზრებებმა, რომლის ნაწილი პროექტის ინიციატორის მიერ გაზიარებულ იქნა. იქვე აღინიშნა, რომ გეგმა ცოცხალი დოკუმენტია და მისი სრულყოფის მიზნით ცვლილებების განხორციელება შემდგომი მსჯელობის საგანი გახდება. განკარგულების პროექტი ხმათა უმრავლესობით დამტკიცდა.

აღნიშნული დოკუმენტისთვის ხმა არ მიუცია დეპუტატ მარი ჩხიკვიშვილს.

„თაღლითური სქემის გამოვლინება განხორციელდა ბანკის უიდა სტრუქტურების მიერ“



ალიონი. გაგრძელებული ინფორმაციით, 5 ივნისს ქ. ოზურგეთში რამდენიმე პირი დააკავეს ლომბარდში ოქროს ნივთების მანიპულაციასთან დაკავშირებით.

ისინი კლიენტების მიერ დატოვებულ ოქროს ცვლიდნენ მღარე ხარისხის ოქროთი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, თაღლითური გზით, მათ რამდენიმე მილიონი ლარის ზარალი მიადგინეს ბანკის კლიენტებს.

შს-მ დაიწყო გამოძიება სსკ-ს 180-ე მუხლით, რაც თაღლითობას ითვალისწინებს.

რამდენიმე დღის წინ კი „ლიბერთი ბანკმა“ განმარტება გააკეთა ოზურგეთის ფილიალში მიმდინარე გამოძიების შესახებ.

„რამდენიმე დღის წინ, ოზურგეთის „ლიბერთი ბანკის“ ფილიალში ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ აღმოჩენილ იქნა დანაშაულებრივი ქმედება,

რის შესახებაც მყისიერად ეცნობა სამართალდამცვე ორგანოს და დაიწყო გამოძიების პროცესი.

გაგრძელდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გარკვეულწილად შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება. ამიტომ, ბანკი მიზანშეწონილად მიიჩნევს ფართო საზოგადოებას და, პირველ რიგში, ბანკის მომხმარებლებს განუმარტოს არსებული ვითარება:

გამოძიების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს, დანაშაულის გამოვლენის მომენტიდან. ამ ეტაპზე, დეტალური ინფორმაციის წინასწარ გასაჯაროება ხელს შეუშლის გამოძიებას. თაღლითური სქემის გამოვლენა განხორციელდა ბანკის

შიდა სტრუქტურების მიერ და გამოძიება დაიწყო „ლიბერთი ბანკის“ ინიციატივით. ამ ეტაპზე არ არის ცნობილი ბანკის მიერ მიღებული ზარალი. ასევე, ბანკი იცავს უდანაშაულობის პრეზუმციას და შესაბამისად, არ აკონკრეტებს შესაძლო დანაშაულის ვინაობას და მათ შესაძლო ბრალეულობას.

რაც შეეხება გარკვეულ ფიზიკურ პირთა ანგარიშების დაყვადებას, ცვლა პროცესი განხორციელდა მხოლოდ სასამართლოს განჩინებით და გამჭვირვალედ, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში და ეს პროცესები დასრულდება გამოძიების დასრულებისთანავე.“ —წერია განმარტებაში.

ლიტერატურული გურია



საქართველოს მფარველთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორბანიზაციის ბაზით


№ 3, (6), ივნისი, 2020წ

ჯემალ კვიციანი

სტუმარი

ცხოვრება კაცის

რა არის მაინც ცხოვრება კაცის, თუ ავდრის ფრთები ქარივით გირწევს, თუ უბედობა მგელივით დაძრწის და საბრძოლველად დუელში გიწვევს?! მიშვერილი მაქვს ტყვიისთვის მკერდი, სევდა გილუქავს ფიქრების ფურცლებს და გული, როგორც საცეცხლე წერტი, ტყვიების ისრებს მოთმენით უძლებს... არ დაცდენია გულს კენესა ერთი, თუმც ესმის ისევ ტყვიების ბოღვა, და... დეღავ, როგორც კლავიშზე ვერდი, რომ არ მიჩუმდე და გერქვას შვოთვა... გულის შესასვლელს არასდროს კეტავ, ტყვიის ფრინველი თუნდ მოხლტეს ასი... რამდენჯერ უნდა განგვიმდინო ნეტავ, რომ გადარჩენის მოგეცეს შანსი?!



ჯერ არა!..

...ჯერ არა, იქით! ჯერ ცოტა მაცა! ვიბრუნებ გულის ავღვევილ ნაჭერს. შენმა შეხვედრამ თავზარი დამცა, ეს სიხარულზე მეტია ასჯერ... დარუბანდამდე?! ჯერ არა, მაგრამ... სიტყვას ვიხუტებ და ვსუნთქავ ხარბად...

სულ გამაკაჟა ასეთმა დაღლამ, ბედნიერება ეს არის ალბათ... ალბათ კი არა, მართლაც ეს არის, როცა სამოთხეს მტერი არ გიძოვს!.. ახლა აღარ ვგრძნობ ტკივილს მე ძვალის... დამტოვეთ აქ და... არ გამაღვიძოთ!..

გივი სისარულიძე

სცენის ოსტატისაგან ქუჩის სცენის დიდოსტატებს

შვი მერსელესიდან ვიღაც მოღურად ჩაცმული ტიპი ჩამოვიდა, ეკლესიასთან მდგომ შვიდ მათხოვარს ცალ-ცალკე ფული ჩამოურიგა: - ეს თქვენ, ჩემო კოლეგებო, უთხრა და სწრაფი ნაბიჯით ტაძარში შევიდა. უკან დაბრუნებულს მცირეწლოვანი მოწყალის მისხონელი ბავშვები შემოე სიენენ: - ბიბა, ჩვენც ვაჩუქე რა ფული? მან ყველას თავზე ხელი გადაუსვა და ღიმილიანი სახით გაიბახრა: ესეც თქვენ, ჩემო პატარა კოლეგებო, ესეც თქვენო და თან ფულს გამეტებულად არივებდა.




მერე მანქანაში დაჯდა, სწრაფად მოწყობა ადგილს და მოსახვევში გაუჩინარდა. ერთი მოწყალის მისხონელი მთორეს მოუტრიალდა, - ბიჭო, შაქრო, ჯერ არ მანსოვს ამ კაცს ჩვენთვის ფულის ჩუქების დროს არ დაეყოლებინოს: - მიიღეთ მოწყალეობა, ჩემო კოლეგებო. არადა, მიუღ ღუნიაზე ცნობილი მსახიობია, ტელეკრანი არ გაჩნაქუნდება ისე, რომ ეგ არ გამოჩნდეს. ხალხი მაგის გვერდშია და მე მგონი არც მთავრობასთან უნდა იყოს მწერალად. ჩვენ, ქუჩაში მოწყალის მისხონელი რა მაგის კოლეგები ვართ, ვერ გამოვიყო. საუბარში ორი მათხოვარი ჩაერთო, ერთი ქალი და ერთი ხანში შესული მამაკაცი - მიუღ საქართველოს მაგაზე მზე და მოვარე ამოსდის და მეც ვერ გამოვიდა რა ჩვენი კოლეგააო. ერთ-ერთმა ყველას გამოძვლილი თვალებით გადახედა და დასძინა: რომ არ ვიცოდე რა გულიანი კაციც არის, ვიფიქრებდი მასხრად გვევლებს-მეთქი, მაგრამ მის თვალებში იშხელა სევდაც, რომ ეს ამავე ყოვლადგამორიცხულია! - მთ საუბარში ეკლესიის ერთ-ერთი მრევლიც ჩაერთა, - არა, არა, სიფეარულისთვის არის ეს კაცი დაბადებული! ერთმა მოხუცმა ქალმა კი ყველას გასაუბრად ხმამაღლა წამოიძახა, - ერთხელაც ფულს რომ მარუქებს და დაამატებს, ესეც შენ, კოლეგაო, უნდა კითხო, რად ფიქრობს, რომ ჩვენ მისი კოლეგები ვართ. მაიცა, მაიცაო, - თქვა შაქრომ. მოდი, ყველას სჯობია ნოდარას კითხვით, მაგ კაცის შესახებ ყველაფერი ეცოდინება.

ტრაკის ქვეშ ამოიღებ, ზედ პლედს გადაფარებ და მარტო მუხლის თავს გამოაჩენ, ღამისაა ჩემი ყუთიდან ფული ამოვიღო და შენს ყუთში ჩააგდეო. ხოლო ტატიანა, ზამბო და შოლიკა ეკლესიიდან გამოსულ ხალხს რომ ავღვენებან და მოწყალის გამლები მანამდე არ სცილებებან, სანამ ჯობებებს არ დაუცარიელებენ, თან ისეთი გაურკვეველ ფრაზებს ისვრიან, ვერც ღმერთი გაუგებთ და ვერც ეშმაკი, ვზივარ და ვფიქრობ რობერტ სტურუაზე. მას რომ ერთხელ მაინც ჩემი ხედვით შეახედა თქვენთვის და ისე გიგნობდეთ, როგორც ამ ორი წლის განმავლობაში მე გავიციანთი, ალბათ მიუღ თეატრალურ დასს დაითხოვდა და თქვენ აგიყვანდათ მსახიობებად. იმ ტიპს კარგად ვიცნობ, დიდებული მსახიობია. ის არაფერს ჭამს, ისეთი ცხოვრება განვლო - თქვენს მტერს და ავს! ბავშვობაში მშვერ-მწერული დადიოდა, დღეს კი ჩემზე უკეთ იცით ვინც არის. გარდა იმისა, რომ თქვენი კოლეგაა, როგორც მსახიობი, ჩემი კოლეგაც არის, როგორც მათხოვრი. - კაი, კაი ახლა, სისულელეებს თავი დაანებე, - შეეპასუხა შაქრო. მაგას მათხოვრის რა უგავს ბიჭო, ლორდთა პალატის წვერივით დადის. - ეპ, შაქროვან, საქმე იმაშია, რომ ჩვენს წრესთან, სადაც მე აღდგომის წითელი კოჭვით დაველორავდი, შენების წერტილი და ახლოს დგომის საშუალებაც არ ექონდა. მე რომ ხელოვან ხალხს ვიცნობ, ისე არავინ. რა თქმა უნდა, მათ შორისაც არიან თავმოყვარეობით სავსე ადამიანები, მაგრამ მათ თქვენ ვერასდროს გაიცნობთ, რამეთუ არც არსად ჩნდებიან და არც სურვილი აქვთ გამოჩენის. თქვენ დღის ბოლოს იმდენი ფული გიგროვებთ, საკუთარ ოჯახებს კი არა, რომ ვინდოდეთ სხვებსაც დაეხმარებოთ. მათ კი, თავმოყვარეობა შერჩენიათ. ამის გამო ოჯახებსაც სტანჯავენ და თავის თავსაც. ეს ტიპი ხელოვანთა სულ სხვა კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც, როგორც სცენაზე, ასევე ცხოვრებაშიც ნიჭიერები გამოდგნენ, ქიციც იციან და ქიციც უციც, ამანაც არიან და იქ, სადაც საჭიროა თავსაც ხრიან და მუხლსაც იდრეკენ. რა ქან, სხვა გზა არა აქვთ. სხვა შემთხვევაში თავისი უიღბლო კოლეგების ბედს გაიზიარებენ. უნდა ნახოთ ჩვენი ქვეყნის ოლიგარქად წოდებულ ხალხს როგორ ელაქუცებან და რა სოტბას ასანაშენ. მარტო ჩვენ არა ვართ ამ დღეში. იმის მომსწრეც ვარ, როგორ ელაქუცებოდა და ემათხოვრებოდა მდიდარი კაცი მასზე მდიდარს, მთავრობის წევრები მათ თავმჯდომარეს, თავმჯდომარე კი პრეზიდენტს. ასეა, ჩემო ბატონო, ეს ცხოვრება. ჩვენ ყველა ერთმანეთის კოლეგები გამოვიდვართ. ასე რომ, ნუ გიკვირთ თუ ყველაზე მდიდარმა კაც-

ნოდარ ღონაძე

რას იზამს მარტი

ვზივარ ბუხართან, ჩემთვის, მარტო, გარეთ კი ბარდნის, უკვე თავდება თებერვალი, გვეწვევა მარტი. დეკემბრის თოვლი ჯერ ისევ დევს გაუდნობელი, გაზაფხული კი კარს მომდგარა, ფხიზლობს სოფელი.



მარტის ამინდმა თუ იკადრა, კიდეც მოთოვა, მაშინ ძველ ოდებს კვლავ მოუწევს ფრთხილად დათოლვა. გარეთ ათასი საქმე არის საკეთებელი, ახლა სჭირდება ბაღს და ვენახს მზრუნველი ხელი.

რა უსაშველო ღამე არის, დრო ნელა გადის, არავინ იცის, რა იქნება,

რას იზამს მარტი. რა გითხრათ, რა სჯობს ბუხართან ჯდომას და თამაშს ნარდის, ადვისს ღვინო თუ იქნება, გაქრება დარდიც...

ჟინი არ მტოვებს ლექსების წერის

სტრიქონი სტრიქონს თბილად ერწყმება, გზნებით სათქმელი გართობულია, სისხლი მარტოებში აჩქარდება, მგონი, ნამდვილი გაზაფხულია.

ჩემი სამშობლოს ავიც და კარვაც მე მესმის, როგორც მიწის ყივილი. ლექსშია ჩემი სევდა და დარდი, სიხარული და გულისტკივილი.

ლექსშია ჩემი წყნაც და ლხენაც, ჩემი ფიქრი და ჩემი ოცნება,

ლექსშია ჩემი იმედი, რწმენა, ჩემი მიზანი და მოწოდება.

როცა ჩავცქერი ამ თოთო პწკარებს, ამონათქაშებს ჩემი ლექსების, გული მაქვს გზნებით, სილადით სავსე, სტრიქონს შვილივით ვეაღერებ.

და კარგად ვიცი, ბოლოს რაც გველის. ცნობილი გზით ვართ წამსვლელი ყველა, ჟინი არ მტოვებს ლექსების წერის, ლექსებით ვსუნთქავ, ვტკები და ვღვავ.

სტუმარი

გივი სიხარულიძე

სცენის ოსტატისაგან ქუჩის სცენის დიდოსტატებს

მაც კი მოწყალების გაღების დროს კოლეგა ვიწოდით. ეს კაცი ერთი მილიონერის ოჯახში თამადა იყო, ოჯახში, რომელსაც არც სინდისი შერჩენია და არც ნამუსი, ყველაფერი ფულზე გაუყვიადას. ამან კი ისეთი სიტყვებით შეაქყო, ისეთი დიდება უთხრა და ისეთი ბაღადა მიუძღვნა, სირცხვილისაგან ლოყები ამიწითლდა, მილიონერი კი იდგა და ფსალმუნით ისმენდა მისი პიროვნებისადმი წარმოთქმულ სრულიად შეუსაბამო ქება-დიდებას. სუფრის დამთავრებისთანავე, მასპინძელმა მილიონერმა გვერდზე გაიხმო, არ ვიცი რისთვის, მაგრამ როცა ჩვენი მსახიობის მადლობების კორიანტელს უკმენდი, მეზველი რაც მოხდა. სხვაგანაც ბევრჯერ შევსწრებივარ მის თამადას, მისგან წარმოთქმულ სრულიად არადამაჯერებელ ფრაზებს დამაჯერებლად მიძღვნილს ძლიერაა ამა ქვეყნისადმი. ხშირად მივიქრია, რა მაგარი მსახიობია, თანაც რა დიდი ღონის მათხოვარი-მეთქი. ის ჩვენსავით ლარზე და 20 თეთრზე არ ხურდავდებდა, მისი პირობები თეატრისა და კინოს პირობებისგან განსხვავებით, ძალზედ დიდ თანხას წარმოადგენდა, შინაგანად ყოველთვის მძაფრად, მაგრამ მის ნიჭიერებას ვადიარებდი. ჭკვიანი იყო. ერთხელაც არ მახსოვს თავის სადღეგრძელოებით ჩემი პიროვნება შეეწუხებინოს, არა და რეალურად გრძობდა მისადმი ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას. მან მშვენივრად იცოდა თავისი და მათი როლი საზოგადოებაში და კარგი რეჟისორივით ანაწილებდა სიტუაციებს, რომლითაც რა თქმა უნდა, საჩუქრის გამღებთ დიდ საიმპონებს ანიჭებდა, ხოლო თვითონ მორალურად და მატერიალურად გალაღებული ბრუნდებოდა შინ.

კარგად მახსოვს, ერთხელ უკრაინელი ბიზნესმენები მყავდა სტუმრად. მიხივებს, დავილაღეთ ამ ფეშენებელურ რესტორნებში სიარულით. წამო რა, სადმე უბრალო "საკუსონინაში" დავგვატყუე. მეც სტუმრებს თხოვნა შევუხსრულე და ავლადარში ერთ-ერთ სახინკლეს ვეწვიეთ, სადაც დარბაზში კუბები დიქტით იყო გადაღობილი. მართალია, ხალხს სახეზე

ვერ ვხედავდით, მაგრამ გვერდით კუბიდან მათი ხმამაღალი აურზაური გვესმოდა. ხშირ ვიცანი, ის ტიპი იყო. თავისი ერთ-ერთი მძაკაცი ეხვეწებოდა თამადად დადებო. მან სიყვარულით და მოკრძალებით მიმართა, ლევენჯან, ფულისგან გაფეხვებულ კლიენ ტუბთან არ მეყოფა თამადა და მაღად ხოტბის შესხმა აქაც რომ არ გადაძალოთ? მიდი, ჭიკა ხელში აიღე და დაშხოშინადა მოვილხინით, დამსვენეთ რა ბიჭებო. ლევან ადარ გაპრანჭულა, სკამის ხმაურით მივხვდი, რომ ფეხზე წამოდგა: - მოდი, ბიჭებო, ჩვენი და ჩვენი ოჯახების გულისთვის თავს რომ იმცირებს, იღლის და თრუნავს, ჩვენი ოჯახების დამპყრებელს, ჯაბას გაუ-მარჯოსო, ატყდა სკამების რახარუნი, ყველა ფეხზე წამოდგა და ერთხმად წარმოთქვა: - ჯაბა-ჯაბა, მადლო-ბა ჯიკარო ჩვენი ოჯახების გადარჩენისთვისო. როცა დამოშინდნენ, ჯაბამ ისე, რომ ეტყობა ფეხზე არ ადგარა, სამადლობელი სიტყვა წარმოთქვა: - მადლო-ბა ძებო ჩემი დღეგრძელობისთვის, როცა უძაღლეს სასწავლებელში ვსწავლობდით, მეგონა დიდოსტატებად და რაინდებად გვხვდიდნენ, თურმე ეს ცხოვრება კომე-დაც კი არ ყოფილა, ის კი, რაც კომედა მეგონა, ტრაგედიად გვექცა, ის, რაც ტრაგედიად გვექცა, თავიდან ბოლომდე კომედა ყოფილა. ჩემ ცხოვრებაში არ მახსოვს მათხოვრისთვის ფული არ მიმეცეს და როცა ფულს ვეწუქი, თავი რომ შეურაცხყოფილად არ იგრძნოს, ყოველთვის დავაყოფებ, ეს ჩემგან, კოლეგა-მეთქი. მათ განცვიფრებულ სახეებს რომ ვხედავ, ვხვდები რასაც ფიქრობენ, ეს კაცი ზომ არ გაგიჟდა, ჩვენ, მათხოვრები რა მაგის კოლეგები ვართო. იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ ჩვენ სხვადასხვა ლიგაში მოთამაშე მათხოვრები ვართ. მე პირველ ლიგაში, ისინი კი მომდენო, ზოგი მეორეში, ზოგი მესამეში და ზოგიც მეთინეში. ზოგს კი ლიგაც არ გააჩნია და ცდილობს როგორმე რომელიმე ლიგაში მოხვდეს. როცა ფულს ვარიგებ, ჩემთვის ვფურჩულებ, მოვესალმებით, პირველი კლასის მათხოვარი შემდგომ ეტაპზე მდგარ მათხოვრებს, ჩემი ნიჭიერი კოლეგებო!

ნუგზარ ჯორბენაძე



სავსე მთვარის ცქერა. რაც იყო და რაც არ იყო, იქცა მოვინებად, ნისლისფერი საღამოდან არაფერი შემრჩა.

წუხილი

უძირო დილას ცვარ-ნამი სტუმრობს, მუქი ფერები ურიგოდ ხუმრობს, ხელთ არსებული ლურჯი კალამი წუხს, რომ ფურცელმა არ თქვა საღამო. ყველგან ბნელითის ხელმწიფე მიხმობს, ფიცხი ტირიფი ცხარე ცრემლს მითმობს, ველარ ვიხილე წმიდა სიონი, ძველი მტკვარი და ძველი რიონი. ფესვი გაგიხმა თმენის ნარგაო, გაუჩინარდი ცისკრის ვარსკვლავო მკერდი უღირსად ჭირმა ჭამაო გთხოვ შემოქმედი შევლას, მამაო.

საქართველო

იმედია არ ვიქნები ფუჭი ნატვრის ამარა, ეგებ შეგვრა გამარჯვების გაფრენილი კამარა. ღვთის შეწევით გაბრწყინდება მხარე ჩემი პატარა საქართველოს სიყვარულმა მე ბანდაბან მატარა. აღარ დაჭრის მხარში ქართველს ტყვია ცხელი აფხაზეთო, გნახავ სანამ თმებს შეიპყრობს ჭაღარა შინაგანი სივრცე თუკი გოღვის მტკვრამ დაფარა ღვთისმშობელმა ინება და კალთა გადაგვაფარა.

მონატრება

ნისლისფერი საღამოა, ნისლისფერი თოვა, ცაზე ღრუბლის სევდიანი და უსაზღვრო გლოვა... მენატრება ის ღიმილი ვარსკვლავებთან ერთად, მენატრება თაიგული, რომელიც არ ჭკნება. მენატრება ის საღამო, ცოტახნით რომ რჩება, ალბათ, ნისლი ჩამოწვება გამეცლება ძალა. ნისლისფერი საღამოა, ნისლისფერი გროვა, უსასრულოდ შორეული ციდან ფიფქის ცვენა, მომენტარა ის თვალები, ვარსკვლავების კრეფა, მომენტარა ვნებანი

საბავშვო ლექსები

ჯემალ (დავით) დობორჯინიძე



ბაბუმ თქვა: „არვე გიმრავლოს, ხარ მესაქონლე კაცი.

ნეზევი დახტის და კიკინებს, ჰოლა, „კიკინას“ ვარქმევ, ქართაც შევხიმე გულდასმით და მომემატა საქმე!

სულ ბაკი-ბუკით დადის ჩემი ბაკუნა ვაცი. ნორჩ რქებზე ვეაღერებ, თითებით ქორჩორს ვვარცხნი.

ტყვიდან ჩამომატქეს უხვად ძმერხლი, ბიძგი და სურო, ეს დედათხისთვის, თქვენ რძე სვით, რამდენიც მოგესურვით!

თუ გადაგრჩებათ რამე, ჩემო ბაკუ და კიკი, თხის რძე მეც მასვით, გახსოვდეთ, თქვენი მოძველები გვიცი.

ვაიხე ჩვენი ბრალი!

გუმინწინ მაგრად ჰყინავდა, გახეთქა მარნის ჭური, გუმინ ბოჩოლა მოგვიკვდა, ბლაოდა დედაფური.

ბებომ თქვა, დავილუპეთო, ფურს გაუშრება ცური“, ბაბუმ თქვა, არ მოყინავდა კარგად რომ გვედოთ ყური“. მე და ჯაბას არ ავცვდებდა ტყეა და საყვედური, ჩვენ აწ რძეს ვინა ვვადირსებს, უნდა ვხრათ ხმელა პური.

ფოსტალიონი კალია

ფოსტალიონმა კალიამ ბერი იარა ძალიან, იარა კარით კარამდის, რომ გადაეცა ბარათი. შემოირბინა ბუჯითმა უბანი თითქმის ათი, - სად ცხოვრობს ლოკოკინაო? ვერ უთხრეს მისამართი. შემოხვდა ვირთხა და უთხრა: შენ ძმაო, ჭურში გიხიანავს? ვინ იცის მისამართი, სად ეტებ ლოკოკინას? საითაც წავა, იქ მიატქეს იმას თავისი ბინა.

წინდასკედილი დათვი

- საფუტკრის წინ რას აკეთებ, დათვო, ამ დილაადრიან? - მხესუშობრები დავეთესე ფუტკრებისათვის, ნათია, სამაგიეროდ ფუტკრები თაფლს აღარ დამამდლიან.

აჩა-ბაჩა

ღვა, ღვა, ღვა, რა მოხდა, რა? მიწა იძრა, ზეცა იძრა, რა? რა? რა? ფეხზე დადგა ჩვენი ციცა, ვენაცვალეთ ჩვენ ამ დღესო, აჩა-ბაჩა, აჩა-ბაჩა, უკვე დადის ჩვენი კესო.

კიკინა და ბაკუნა

ბიბამ თიკანი მაჩუქა, გავზარდე, ვახდა წალი, შემოდგომაზე იმაკა, აშორდა ავი თვალი. ახლა თიკნებიც მოიგო და გამიხარა გული, ერთი ნეზევა ქათქათა, ვით თოვლი დაფიფქული.

მეორე ნისლისფერია, ხუჭუჭქოჩორა ვაცი.

ახალი თარგმანი მარინა ცხვეტაშვილი XXX

ჩემს ლექსებს, ადრე დაწერილ ლექსებს, პოეტი რომ ვარ, არც კი ვიცოდი. ვით შადრევანი, აფრქვევდნენ მხეფებს, შუშუნის ნაპერწკლებს რომ ისრლით. შემოჭრილები ეშმაკუნებად, სად ძილია და სიზმრის ნათება, სიკვდილ-სიცოცხლის ამ ძველ ბუნებას

მხიარული ბგერები

ლო-ს ვვარებია ღო-ს ვლაპკა, რმ-ს - სეირნობა უ-რემით, მი - მი-მინოთი ნადირობს, შა-მ - ფაფა ჭამა სურებით. სოლ - სოლი-ით შემას აპობს და ლა - მი-ლა-ქ-ლა-ქებს ქალაქში, სი - ბატთან მი-სი-სი-ნებს და მიტოპავს გუბე-ტალახში.

ტრაბახა ზურა

- აბა, განი, განი, დაუკარით დოლი! მე ვარ ფალავანი, მომიტებნეთ ტოლი! ტრაბახობდა ზურა, წრეში შეხტა გელა, აჭყვიპინდა ზურნა, გაინაბა ყველა. ტაში დაჰკრა შოთამ, აჭყვა ქეთევანი, მოლზე ვაიშოტა ჩვენი ფალავანი.

წაუკითხავად ერგოთ დადება. არც ვინ კითხულობს, არც ვინ იწონებს, მაღაზიაში დაყრიათ მტკვერი, ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას ღვინობებს, მწამს, დაუდგებათ გაყვიღვის ჯერი. თარგმნა ჯემალ (დავით) დობორჯინიძემ

ოტია ტრაპაიძე



ჩემს აზხაზ და ოს მემობარ კომბებს

დღეს ღამე მოსდევს, ღამეს – დღე, ეს არის ჭეშმარიტება, ღამე გავიდა, ბიჭებო, დღე გვინდა და დღე იწყება.

მე და თქვენ მტრები?! – ვინა თქვა, მესამე ძალას ერიდეთ, ლექსები ვწერთ ძობაზე და სტრიქონ-სტრიქონ შევრიგდეთ...

სიტყვის ფასი არ გეშლება და სიტყვა იგი ღმერთია, სიზმარში გხედავთ ორივეს და საქართველოს ერთიანს...

დღეს ღამე მოსდევს, ღამეს – დღე, ეს არის ჭეშმარიტება, ღამე გავიდა, ბიჭებო, დღე გვინდა და დღე იწყება.

სხვის ნაკვალევზე არასდროს ვივლი

დამალა ფიქრმა, ოცნებამ ფუჭმა, ყველა ლოდინი ყოფილა მწარე, ეპ, მეგობრებიც აღარ მოდიან, დაღონებული დაგუზურავ კარებს...

და მივინდობი ღამეს შოთთანს, ძლივს რომ ჩანს ცაზე – სურების მთვარეს,

„ლომისკარელში“ ღმერთს შევავედრებ ჩემს საქართველოს – საყვარელ მხარეს.

და წავალ მერე უმისამართოდ, სხვის ნაკვალევზე არასდროს ვივლი, ჩემით მივალწვევ, რასაც მივალწვევ, მე ასე მინდა, ამას აქვს ხიბლი.

სადამოვდება, ავრილდა უკვე, შესაბამისად აიჭრა ფერი, სიმდიდრე რა მაქვს, გულით რა მიმაქვს, ორი სტრიქონი – სხვა არაფერი.

სუფსის ტალღებში დაიხრჩო მთვარე, სურების მთებში მეხი გააარდა, ეს ბნელი ღამე აშინებს მგზავრებს, ყველას აშინებს, ჩვენ ორის გარდა.

სიცარიელე მკაცრი და უტყვი, მეგზური მხოლოდ ღრუბელი თალხი, ღუმდნენ წიფლები, ღუმდნენ მუხები, იდგა ურყევად ღუმდლის ტახტი.

ცაზე არ ჩანდა ვარსკვლავთა გუნდი, მთებს ედებოდა ნისლის ნაძვარი და შიგადაშიგ გაეღვებინას

ჩნდებოდა ხოლმე კლდეზე ჩანჩქერი.

სუფსის ტალღები ნაპირს ებრძოდა, იყო მომენტი, მიყუჩდა ქარი, ფოთლებიც ღუმდნენ, გვისმდნენ თითქოს, რას ამბობს ნეტა კაცი და ქალი.

მდინარე სუფსა დავძლიეთ, მანსოვს, მთებაც, კლდეებიც განვვლეთ უკნებლად, გაგიკვირდებოდა, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს ჩვენ შევძელით შეუსვენებლად...

წამოგვეწია დილა მგზავრებით, თითქოს გააპეს სივრცე მტრებებმა, დაღლილ-დაქანცულთ, მაგრამ ბედნიერო, მალე დღეც თბილად მოგვეგებება.

გზებზე გააშრო სველი ბაღახი მზემ ამოსულმა დილაადრიან, ისიც ხარობდა ჩვენი დანახვით, უხვად გვაფენდა სხივებს მადლიანს...

ბოლოს დადგა დრო, დრო განშორების, თავის გზა ჰქონდა ქალს – ჩემს ფერიას, მას შემდეგ ველი დათქმულ ადგილზე, მას შემდეგ უკვე ოცი წელია.

ცისანა ჩხაიძე-ჯაში

სიძლერა მამულზე

ჩემო ტყბილო მხარე, ჩემო სანუკვარო, გმირთა წმინდა სისხლით ნამულო, მე შენი შვილი ვარ, შენთვის დავიბადე, უნდა გემსახურო, მამულო. ასე ზურმუხტი და ასეთი ლამაზი მხარე შენნაირი სად არი? ყველა მგოსანი და ყველა მომღერალი უდამ გიმღეროდეს მზად არი. მრავალჯერ გადაგწვეს, რავალჯერ დაგჩენეს, გმირ ხალხთა ცრემლებით წამებულო, მაინც ფენიქსივით ფეხზე წამომდგარო, მზით გაბრწყინებულო მამულო.

ფიქრები მოგავალზე

სკოლას როცა დავამთავრებთ, ჩემო დებო, ჩემო ძმებო,

არ დავტოვოთ ეს სოფელი, სანეტარო საოცნებო. გაიას ინჟინრობა უნდა, ექიმობა უნდა ნანას, მე გავხდები გამგებელი, რომ ვაშენო გზა და შარა. – მე ინჟინერი ვიქნები, აქ ვიღვანებ, – ამბობს ლუკა, გზას გავიყვან მოსახვევშიც, არ დავტოვებ არც ერთ შუკას. მზია მწერალი გახდება, ბაღს გააშენებს ლიანა, ყველანი სოფლებს მივხედავთ, მარტო ქალაქებს კი არა.

გაზაფხული

უყვარს პაპას, როცა ხედავს ყვავილების ათას ფერებს. ხელს შემოგვხვევს ერთად ყველას,




ჩვენთან ერთად წაიძღვრებს. უყვარს გაზაფხული მოსვლა, როცა ჰავა არის თბილი,

უყვარს მუხა მამინ, როცა დგას ეზოში მხრებგაშლილი. გვიყვარს შრომა მასთან ერთად, კვლებს ვამზადებთ, წელმოხრილი. სანამ გვალვა დაიწყება, დავრგავთ ნერგებს – მსხლის და თხილის.

ია

მე ია ვარ, ლურჯი კაბით, გაზაფხულს რომ ვეგებები. ხალისით ვჭერებ მინდორ-ველებს და მზის სხივებს ლაღად ვხვდები. განა მარტო ამოვდივარ? გვერდს მიმშვენებს დები, ძმები, ნარგიზი და ყოჩივარდა, ზამბახები, ენძელები. ყველა ერთად ვალამაზებთ ჩვენი ქვეყნის მთებს და ველებს, რა რიგ ხატავს ეს ბუნება ყვავილებით ათას ფერებს.

თემურ მარშანიშვილი



მუხრანის სიზმარი

სიზმრად ვნახე, გვერხეოდა, გვხვდინენ წულასაო. მუხას ნაცი ეხვეოდა, მაღალ მუხასაო. დიას, ნაცი, არა მუძლი, ჰგავდა ბულასაო...

სიზმრად ვნახე, რომ ნატრობდა კაცი გუთანსაო. მუხას ცრუ ქოცი ახრჩობდა, ჯანმრთელ მუხასაო. დიას ქოცი, არა მუძლი, ჰგავდა ტურასაო...

სიზმრად ვნახე ესეოდენ ქვეყნის ხულასაო ნაც-ქოცები ესეოდენ ქართულ მუხარაო. მუხას ჩეხდნენ, უკეთებდნენ მტერთა ბუხარსაო...

სიზმარი არ ამიხდინონ ბებერ მუხრანსაო, თორემ მაგათ არ ვადირსებ დამბად მურყანსაო. ვაი ბულასაო და უი ტურასაო!...

კი ვართ ღირსნი...

რომ არ ვთხზავდეთ, რომ არ ვეწერდეთ, თუნდაც უკვლავ რომანს ვწერდეთ, ამ ქვეყნისთვის რომ არ ვძვერდეთ, კი ვართ ღირსნი, გადავშენდეთ...

რომ არ ვწერდეთ, რომ არ ვთხზავდეთ, სავარგულებს რომ არ ვხვდებით, დალოცვილ ვაზს რომ არ ვსხლავდეთ, ყურძნის ნაყურს რომ არ ვსვამდეთ, უფალი რომ არ გვიყვარდეს, ჯვრის და ხატის რომ არ გვწამდეს, ერთუროს ვჭამდეთ მუდამ ძვლამდე და ვკოცნიდეთ ღუმანს ძმამდე, სათქმელს არ ვამბობდეთ სხვამდე, რომ ვერ ავდიოდეთ მთამდე, რომ ვერ ვეშვებოდეთ ზღვამდე, კი ვართ ღირსნი, რომ მოვზავდეთ...

თუკი გვართმევს ხმაში ხალისს შემახილი „აში ხარის“, თუ იმედად არ ვართ ზვალის - გარეთ კაცის, სახლში ქალის თუ არა ვართ ჯიშის, გვარის, თუ წამშლელი გავხდით კვალის დიდგორის და ტამისკარის, კი ვართ ღირსნი ავი დარის...

რომ არ ვთხზავდეთ, რომ არ ვწერდეთ, თუნდაც სასწაულ რომანს ვმღერდეთ, მამულისთვის რომ არ ვძვერდეთ, კი ვართ ღირსნი, გადავშენდეთ!

მშობიარობა

მე უროლოგმა „მამშობიარა“, შენ გინეკოლოგს მინადე მენჯი, შენ სახლში პირმშო გამოგატანეს, მე – გიმრისფერი, ცხრაკბილა კენჭი...

წერილი მემს

ჩემად გაქვებ და გადიდებ, არ მჩვევია ყვირილები, შენი იყოს, მხოლოდ შენი, რაც დავკრიფე გვირილები!

მივდიოდი, დამაბრუნეს, ასე მითხრეს, მზემ გიმეფლა, ბებერიც თვალს ვერ გისწორებ, მზეო, ვით ქალს თვალგემერას!

შენი შუქის მადლი არის, რომ ვერ მიპობს გულს მიქელა, შენ რომ მკერდი დამიდადე, ის ჩიტი ვარ, გულწითელა!...

ნინო პაშალომიძე

სიყვარულის ისტორია

და მოუნებელი ამბავი არ დაატყდათ თავს - შვილი მოუკვდათ!!! ჯარში მოუკვდა!!!

მათთვის ნაცრისფერი გახდა ცხოვრება... ძალიან ცოტას საუბრობდნენ. მხილოდ თვალებით ეუბნებოდნენ ერთმანეთს სათქმელს - „გაუძელი, არ დამტოვო, ვერ გადავიტან...“

დამავიწყდა მეთქვა. დაოჯახებული შეიღებოდა მათთან არ ცხოვრობდნენ. ცხოვრობდა მხოლოდ ერთი ვაჟი.

ქალმა დარდას და ცრემლებს შეაჭმევინა გული. კაცმა სასმელში ნახა „თავშესაფარი“ ...

... ინსულტი, მეტეკვლევის და კიდურების პარალიზებით. ქალის დარდი და ფიქრი ჯანმრთელობაზე აისახა. კაციც გატყდა - დაუძლეურდა...

მწვავე ინსულტმა კი, რომელიც დედის განმეორებით მოუვიდა, ვაჟი იძულებული გახდა იგი დასთან წაეყვანა. მამა კი დაიტოვა, იმედოდ დაიტოვა.

განმორებისასაც სიტყვა არ თქმულა. მხოლოდ თვალებით და ხელზე - ხელის შეხებით. ამჯერ-

ად კაცი: „გაუძელი, არ დამტოვო, ვერ გადავიტან...“

ქალმა ლოყაზე ჩამოღებოდა მდულარე ცრემლით უპასუხა...

...დამის 2 საათზე სასწრაფო კაცი იშემიური ინსულტით, დიდი ქალაქის კლინიკაში გადაიყვანა...

ერთი თვე ის იქ - ეს აქ ებრძოდა სიკვდილს და მონატრებას...

... ღამით მომაკვდავი ქალი სახლში მოიყვანეს... კაცი გამოთენისას დიდი ქალაქიდან სასწრაფოში წამოიყვანა...

კაცი შფოთავდა, თვალებით ამბობდა : არ წახვიდე, არ გაბეღო, დამელოდე...

სასწრაფო ჭიშკარში შევიდა. ექიმმა კაცის ბიოლოგიური სიკვდილი დააფიქსირა. ქალმა ეზოსკენ გაიხედა. თაფლისფერმა თვალებმა კი თქვა: „მოვიდა, მორჩა!“



...ასე დაიწერა ჩემთვის უცნობი ქალისა და კაცის, უთქმელი სიყვარულის, ნამდვილი ისტორია...

რუსულან ბერიშვილი

წყავის უშუალო გამოცხვარ ღადრის კვირზე დაყოლებული ალმასხანის ლექსი

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში



ჩამომჯდარ იონა ბაბუასკენ მიმართა, ზედ თევზები და ჭიქები დააღაგა. მინავლებული ნაკვერჩხალი გადმოყარა, კვერზე დააკაკუნა, ნიგუზალით ღადარი შემოაცალა და ბუხრის კუთხეში მიაფუდა. მართლა არ უნდოდა კვერს გარეცხვა. არც გაურეცხია. ბუხრის თაროდან გამოღებულ ბაწია ცოცხით დაფერხა, დატეხა და სუფრის შუაგულში დადო. ასეთი კვერის გამოცხობა თუ არ იცი, ნანახი მაინც უნდა გქონდეს და აღარ გაგიკვირდება. რატომ აქვს ამ მხელადდასანახელებელ საჭმელს ასეთი მიმზიდველი სურნელი.

იონა ბაბუა ჩქარობდა, მაგრამ ოჯახის ქალს თავისი დრო და წესი ჰქონდა. თხილის ჯონის შამფურზე კუპატის მოგრილი ნაჭრები ჩამოაცვია და ნაკვერჩხალს შორიანლს მიუშვია. მალე წამოვიდა წვეთები. თევზებზე შუაზე გადახსნილი კვერის ნაჭრები დაგვიდო, შიგ კუპატი ჩადო და ხელი მოუკრა. მერე ძველებური, ოვალური დიდი თევზით ნიგვზით, ნიორით, ხმელი ქინძით და ქონდარით შესუნებებული, ქარვასავით ყვითელი მჟავე კვერზე ფხალი მოიტანა. ბოლოს კი, მოზრდილი კარანჩხეთი, შეყავისფრებული ხეჭვიჭურვი, ლიმონის და ჟანგის ვაშლები, პანტე, კვიციჭვი და ზედ მოყრილი ზღმარტილიც დადგა.

— რა დაგავიწყდა, მარია, თუ იცი?

— უი, ჩემო სიკვტილო, რაი და კვანწარახი. ისე ავი არ ჭამს საჭმელს, — და იმ დავიწყებას ჩეთვერით მოქაფული ადესეც მოაყოლა მარია ბებია.

— რამდენის ხარ ახლა, იონა ბაბუა? — ვეკითხები.

— პირველ ქრისტობისთვის, ძველით, გაკათავე ოთხმოზღაფიღმეტი. ახლა ხომამ სამოზღაფიას თებერვალი? ვიცი ისე, როგაც მე შენ გიყურეფ, რომე ას წელს ასე რომ ვარ, ისე დავაკარკვალიტეფ და მერე მევეკეთებ, აბა, რა იქნება!

— გისმინოს ღმერთმა! ახლა მომიყევი ალმასხანის ამბავი, თვარა დამაღამდება.

— კაი. ციციბოური ხომ იცი, ზემოსურებში, იქინე იღვენ ბედინიშვილები. ბევრი იყვენ, კაი ჯიშოერი ხალხი. ჩვენ მამინ ერისთვის ვეკუთვნილით. არ შორდებოდნენ თავადები ბუკისციხეს. სურების ტყეი მაგენის იყო და უსილაურებდნენ, ეგება ფარა ვიშოვოთო. ჩვენ, საწყალ ხალხს, ამ ტყის პატრონს, ფორჩხის მოჭრის უფლება არ გვქონდა.

ალმასხანე არნახული შეხედული ვაშკაცი იყო. რომ მიეზარდა, წეიყვანა ბუკისციხეს ზურაბ ერისთავმა და დეიყენა ხელის ბიჭად! მუუმატენ გადასახადები ხალხს. მოსმსახურები ძაღლებთან ერთათ იწვენ მიწაზე. ერეგობა ბატონს ერთი კვირით სახლში წასვლა თხოვა. მესამე დღეს, პარასკევობაზე წამოსულა რაცხეის საყილათ

ალმასხანე ჩონატურში მისი ცხენით. ბუკისციხეს რომ ჩამუყარა, გაკვირდა თურმე ხალხი ამ ცხენის სილამაზით. მუუტანიენ ერისთავმა აი ამბავი. ზურაბს უბრძანებია: რომ ამეიარს შეითობას, ცხენი აღარ გაატანოთო.

დახვთენ თურმე. ალმასხანს უმიშვლება სატე-ვარი და გოუკაფავს გზაი. გაცოფებულ ერისთავს სურებში ხალხი გოუგზანია. ალმასხანს შემოკტომია ბოქაული და ტყეში გაქცეულა. ერისთავმა ჯარი გაგზანა მის შესაყრობათ, მარა ვერ ნახენ. დოუკლენ ძროხა და ყველაფერი, რაც ქონდა, მუუტანენ. ფაცხა ღუუწვენ. მოხუცი დედა როზგით ცქენ და ქე მუშაკეტენ. კაი ხნის მერე ალმასხანმა მოკლა ზურაბ ერისთავი და ტყეში დაიმალა.

თათრობა იყო მამინ. დამე რომ შემევიდოდა თათარი და კივილი შეიქნებოდა, პირშებურული ალმასხანე შეველოდა ხალხს და თათრებს ცოცხ-ალს არ უშობდა. ხმას არ იღებდა და ხალხსაც საშველათ ღმერთის გამოგზანვილი რაცხა არსება ეგონა. მარა გატყდა საქმე, ალმასხანმა დატია სურები და სათათრეში გადავიდა...

— ან რას გიყობი, ლექსს გეტყვი ავერ და უმფრო გეიგებ ყორიფელს.

— კაი დღეიწყოთ აბა ლექსი, მიხარია მე და ვიწვენ წერას.

რედაქციისაგან: ლექსი ალმასხან ბედინიშვილზე იმდენად ვრცელია, რომ ისეთ მცირე ფორმატთან გახეთში, როგორც „ლიტერატურული გურია“, თუმცა რამდენიმე ნომრის მთლიანი ფართის დათმობის შემთხვევაშიც შეუძლებელია. სრულყოფილად ეს ნაწარმოები გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის ფეისბუკგვერდზე.

კაი ხანს ღუმდა მოხუცი წამოდგომა მოინდომა. ცრემლი მოერია. სადღაც იყო წასული ფიქრებით.

— მომეცი, ბაბუა, ერთი ჭიქა ღვინო!

მევეცი! მჩქენებოდა, რომ აქ არ ვიყავი და არც ამ დროში ვცხოვრობდი.

— გაგიმარჯოს, ბიჯო, ალმასხანა! შენ გგონია დაავიწყდი ხალხს? არა, ბიჯო! რვაი წელია ლოგინზე ვავდივარ და რვაი დამე არ მექნება გათენებული ისე, შენ რომ არ გამხსენებოდი, შენი ლექსი რომ არ მეძლეოდა.

ცრემლი მომადგა. ფურცლებს თავი მოუყვარე, გადავხვიე, რამდენჯერმე ჩავეხუტე მოხუცს და კარებისკენ წავედი.

— მიხვალ, ბაბუა?

— წავალ, თვარა შემომადამდება და სახლში შემინდებინ. თან ყინავს და ვერ ავალ დამე აღმართზე.

— როის მოხვალ კილო?

— ხვალე ვერა, ხვალე ზეით უნდა წვეიდე, სოფიო ბებიასთან.

კარები გავალე.

— მობრუნდი, ბაბუა, ელანძე! მოებრუნდი.

— შენ, ბაბუა მართლა ხომ არ გგონია სულ ვიქნები. მაწერე მაქანე აი ორი სიტყვა. ჩვენზე ნანწვალეები ხალხი თელ გურიაში არ იწნება. თათრები იყო ჩვენი უბედურობა. შვაგორედან შემოდიოდნენ. ფაცხები გვექონდა მაშინ, აბა, ოღა სა იყო. ყველა ფაცხის ქვეშ ტუნელი იყო გაყვანილი. მისახვედნენ ძაღლები ჭიშკარს და ჩავცვინდებოდით მიწაში. ერთმა ქალმა ვერ მუას-წო ჩასვლა, ეცა თმაში თათარი. ქვედან ქმარი წიწავს ამ ქალს, ზეიდან თათარი. შერჩა თათარს ხელში ერთ პწნაი თმაი. მუუსწრო ქმარმა და ამოკრა ქვეიდან სატეკარი, გამოშვიგნა თათარი. ამევიდა მერე ზეით, იმ თმაით დაკიდა სახლის წინ ხეზე. გავარდა აი ხმაი. ერხანს აღარ მოდიოდნენ, მარა ღორი წუწკობას მეიშლის? რაღამც არ იცით, წაი ახლა, ბაბუა. მალე მოი, დაგახვედრებ თლა კაი ამბებს. ფანდურსაც დაგახვედრებ და დავამღერებ ჩვენი ძველების ამბებს.

... მალე ვვლარ მივედი ვეღარც გვიან მივედი!

ვეღარასოდეს ვვლარ მივედი.

ვისი ლექსების მოყოლას აპირებდი იონა, ბაბუა? ვისი გმირობის აფანდურებას ფიქრობდი?

ბოდიში! აქ პატიება არ შეიძლება და არც ვითხოვ.

ისე კი წამხთარ საქმეს, თურმე, მართლა აფერი არ შევლის. რომ შეგვიძლია, მამინ ვერ და არ ვიცლით, რომ არ შეგვიძლია, მამინ აგვიტყდება კურცხლების ღვარღვალი.

გვიანია ახლა! დიდი ხნის წინ წვილო სუფსამ ჩვენი შეუფასებელი განძი.

ახლა, ხანდახან წყალდიდობა ამოაგდებს დიდი ლოლების ქვეშ შეფარებული განძის მცირე ნარჩენებს. იმას მაინც უნდა ვუშველოთ, ის მაინც უნდა გადავარჩინოთ!

რა მცირე დრო ყოფილა საჭირო ისტორიის დასავიწყებლად!!!

ჩვენ ისინი დავივიწყეთ, მაგრამ ისინი, ალბათ, არ გაგვიმტებენ დასავიწყებლად.

ჩვენ ისინი ძალიან გვჭირდებათ! ჩვენ ისინი გადავივინჩენენ განქართველების პირას მდგარ, კარხალში გადასაჩენად განწირულ საქართველოს.

რედაქტორის აზრით: ჯეგალ ღობორჯბინიძე

გურიის რეგიონში გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს



ერთად გაეცნო. სამუშაოებს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დაკვეთით შპს „ივერია 7“ აწარმოებს.

გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 14 სოფელში: მამათი (მამათის თემის 4 სოფელი), ვაგური, ჭანჭათი, ორმეთი, ვაკე, ზედუბანი, ვანი, ზომელი, ბუკნარი, ბასილეო, მეწიეთი. ჯამურად აშენდა 155,201 გრძივი მეტრი გაზსადენი და 1864 აბონენტი შეძლებს ჩაერთოს ბუნებრივი გაზის საერთო ქსელში.

გასულ წელს, გაზიფიცირების სამწლიანი გეგმის ფარგლებში, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავდა, სამშენებლო სამუშაოები განხორციელდა, რეგიონის 3 მუნიციპალიტეტის 6 დასახლებულ პუნქტში: ჭალაში, აცანაში, ჭინათში, ქვენობანში, მზიანსა და დაბალ ეწერში. ჯამში აშენდა 89 066 გრძივი მეტრი გაზსადენი და 1200-მდე აბონენტს საშუალება მიეცა ისარგებლოს ბუნებრივი გაზით.

გურიის რეგიონის 19 სოფელში გაზიფიცირებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ჯამურად აშენდება 327,261 გრძივი მეტრი გაზსადენი და 4500-მდე აბონენტი შეძლებს ჩაერთოს ბუნებრივი გაზის საერთო ქსელში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ სილაურში მიმდინარე სამუშაოებს, გურიის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, პირველ მოადგილესთან აკაკი შენგელიასთან

კონსტანტინე შარაშენიძე დაბა ნასაკირალის მოსახლეობას უხვდა



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე დაბა ნასაკირალის მოსახლეობას უხვდა. მერმა დაბის პირველ რაიონში ადგილობრივების პრობლემები მოისმინა. მისი დავალბით მუნიციპალური ტექნიკის მიერ სანიღვრე არხები გაიწმინდა. კონსტანტინე შარაშენიძემ სოციალურად დაუცველთა ოჯახებიც

მოინახულა და თითოეულ მათგანს საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაში დახმარება აღუთქვა. ნასაკირალის მაცხოვრებლები წყალმომარაგების სისტემის მოწყობას ითხოვენ, რომელიც მერის გადაწყვეტილებით დღის წესრიგში დადგება და შესაბამის სამსახურებს საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება დაევალება.


გურიის რეგიონში კიდევ 16 ჰექტარი ლურჯი მოცვის პლანტაცია გაშენდა



დღეის მონაცემებით, ჯამში, გურიაში ლურჯი მოცვი 225 ჰექტარ მიწის ფართობზე გაშენებული! სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნარუჯაში 16 ჰექტარზე ლურჯი მოცვის პლანტაცია გაშენდა. „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, კომპანიამ შპს „ბლუბერი“ ბაღის

გაშენებისა და სარწყავი სისტემების მოწყობისთვის 100 ათასი ლარის ოდენობის დაფინანსება მიიღო, აქედან, 96 600 ლარი ნერგებისთვის, ხოლო 3380 ლარი - წვეთოვანი სისტემებისთვის. წელს საპროგნოზო მოსავალი დაახლოებით 80 ტონას შეადგენს. მოცვის კრეფის სეზონზე 150 -მდე ადგილობრივია დასაქმებული

ნატო ტოროტაძე-საჯაიას ხსოვნას



ჩემო ულამაზესო და უსათნოესო, შენს პატარა ქალაქს ახსოვს შენი ბავშვობა, შენი მოსწავლეობა, შენი ბედნიერება. შენი ნაფეხურები ამ მიწის სამკაულია. შენ ჩვენი კუთხის სევდად იქცევი. მინდა მაპატიო, რომ ვერ გინახულე, რომ ვერ გაგაცილე იქითკენ, სადაც სიმაღლე და სიმშვიდეა. ალბათ, ოდესმე ყველა ერთად შევიკრიბებით და ჩვენი სულები ერთმანეთს გადაეხვევიან. შენ ყველას გულში დადგი არდავიწყების კარავი. შენ შეგეძლო გეთქვა:

ჩემო მონატრებულო მეგობარო ნატო, დახე, რა სწრაფად მიიღია ორმოცი დღე. თურმე ოროცი დღე გათენებულა შენი მწვანე თვალების შემონათების, შენი სიფრიფანა, კრიალა სუნთქვის გარეშე.

„უფალო, ყოვლის მხილველო ხმელთა, მფარველო ქვეყნის იდუმალ ძალთა ყველგან, ო, ყველგან შენს ნათელს კხვდავ ანგელოზებით სავსე მაქვს კალთა.“
შენი **მედიკო**

სულთანა

ჩვენო დიდი ტკივილო, ძალიან მოგვენატრე! ორმოცი დღე გავიდა 9 ივნისს, რაც მიწიერი ცხოვრება დატოვე და ზეციურ სასუფეველში გადასახლდი. დაგვიტოვე მოუშუშებელი იარა, სევდა, უღევი ცრემლი და მოგონებები.

ენვერი კუპრაძე – მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნოლოგი გახლდათ. წარმატებით იმუშავა სხვადასხვა სამსახურებში. 1964 წლიდან იყო ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი, ანასეულის ჩაის ფაბრიკაში მთავარი ტექნოლოგი, ცვლის უფროსი და წარმოების უფროსი.

ენვერი კუპრაძე



1988 წლიდან მუშაობდა ანასეულის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში მთავარ ტექნოლოგად, წამყვან ინჟინრად. 1991-1993 წლებში კი, ნარუჯის ჩაის ფაბრიკის დირექტორი იყო.

იგი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით, სამართლიანობით, პატიოსნებით და საქმისადმი მაღალი საშემსრულებლო დისციპლინით. დაჯილდოებულია მედლით „1975 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული.“ გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი. ენვერი კუპრაძე ღირსეულად წავიდა ჩვენგან და კიდევ ერთი ეპოქა დასრულდა! ამქვეყნად დარჩა მისი შეუბღალავი კაცურკაცობა, კეთილსინდისიერება და სახელი, რომელიც სამარადეოდ დარჩება ოჯახის, ნათესავებისა და ახლობლების გულეში.
ოჯახი.

სერგო ბარამიძის ხსოვნას

40 დღე გავიდა, რაც დატოვე წუთისოფელი და მარადისობას შეუერთდი!.. პატიოსანი, მშრომელი, სამაგალითო შვილი, კარგი მეუღლე, განუშეორებელი მამა, უზომოდ მოყვარული ბაბუა, სასურველი მამამთილი, მზრუნველი ძმა, საყვარელი ბიძა, სანატრელი სიძე, გულშემოტკივარი ნათესავი, საიმედო მეზობელი, ერთგული მეგობარი – ასეთი გვყავდა!

შემდეგ შეხვდით ერთმანეთს იქ, დაუსრულებელ ცხოვრებაში.. შენი უბნის „ლიმილის ბიჭებიც“ გაბარია. იცოდე, გაუფრთხილდი მათ, როგორც შენ გჩვევია!.. შენ სააქაოში ღირსეულად დაიმსახურე კაცური კაცის სახელი და შენი განვლილი ცხოვრების გზა აუცილებლად მიგიყვანს მარადიულ სინათლესთან!..

სიკეთეს თესავდი, მიტევების საოცარი უნარი გქონდა. საკუთარვით ვიყვარდა შეძენილი შვილები და შვილიშვილები. ბედნიერი კაცი იყავი, – იმათგანაც იმავეს გრძნობდი! გაუსაძლის ტკივილს ატარებდი! ტყვილი მიუღებელი იყო შენთვის. თუმცა ერთადერთ ვაჟს დანაპირები ვერ შეუსრულე: რვაწლიანი ლოდინის

ძნელია უშენობა, ამავდროულად ადვილიც, რადგან, რაც მთავარია, გვასწავლე სწორად ცხოვრება. იმდენი სითბო, სიკეთე და სიყვარული დატოვე, სიცოცხლის ბოლომდე სულიერ საზრდოდ გააყვება შენს შთამომავლობას! უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი!
შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაურძნობს სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეს გურიის რეგიონში ვია ებრალიძეს დედის, **მედეას** გარდაცვალების გამო. უახლოესი ნათესავები გენადი (გია) გობრონიძე, ნუგზარ ასათიანი ოჯახებით თანაურძნობენ ილიო რუსიევილს, ლიანა, ნანა, თემურ კუტუბიძეებს დისა და დედის **შურა რუსიევილი-კუტუბიძის** გარდაცვალების გამო.

ლადო ჭანუყვაძის ხსოვნას



„კაიკაცობის მძიმე უღელი ყოველთვის მედგარად მიტარებია, არ დავცემულვარ, მუხლმოუხრელი სიმღერით სევდა დამიძლეოვია.“ პოეტის ეს სიტყვები შეძლო გაემეორებინა ღირსეულ ვაჟკაცს,

ჩვენი ოჯახის მოყვარესა და ერთგულ მეგობარს – ლადო ჭანუყვაძეს. ჩვენო ლადო, ლადიმ ნამდვილად იყო ღირსეული ადამიანი, ღირსეული მეუღლე, მამა, ნათესავი, მეგობარი, მოყვარე, ზნეკეთილი და ზნესრული პიროვნება. იგი მშაკაცივით ეგდა მხარ-ში თავისი ოჯახის უმცროს მამაკაცებს, ხარობდა თავისი არაჩვეულებრივი მეუღლით, შვილიშვილებითა და პაწია ემილით. მისმა დაუღლელმა ხელებმა, ბავშვობიდან გარჯას მიჩვეულმა, წალკოტად აქციეს მისი ეზო-მიდამო. სამწუხაროდ, ავადმყოფობამ განაშორა ამ წალკოტს და იმ ქვეყნად გაატანა ნოსტალგია კერიის მონატრებისა. და წავიდა ეს ალალი, კეთილი კაცი ყველას სიყვარულით გარემოსილი. თვალებზე ცრემლები არ ამრებათ

მის ულამაზეს მეუღლეს – რუსუდანს, შვილებს – ვიასა და დალის, შვილიშვილებს – ანანოს, თენანს, რძალს – მაკას. ლადო იყო კაცი, რომელიც დააკლდა სოფელს, ქვეყანას. მართლაც, გაუსაძლისია ტკივილი. ძნელია, ვერ გაიგონო სანდო მეგობრის ომანიანი შემოძახილი, ვერ დაინახო სიხარულის შუქი მის ლამაზ, შავ თვალებში. გვინდა მადლობა გადავუხადოთ ამ კაცს იმისათვის, რომ არსებობდა და იმდენს გვაძლევდა, რომ ჩვენს ოჯახს გაუზარდა ასეთი კარგი ქალბატონი, როგორც დალია. ნათელი ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა.
მედა (საყვალა) ვაშალოშიძის ოჯახი.

„იზრუნე ბარემოზე და გაიმარჯვე“ - ლიზიამაც გაიმარჯვა



ალიონი. ორგანიზაციამ „დაიცავი საქართველოს სისუფთავე“, გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, სკოლის მოსწავლეების ჩაატარა კონკურსი „იზრუნე გარემოზე და გაიმარჯვე“. კონკურსში, საქართველოს მასშტაბით, 160 ბავშვი მონაწილეობდა. უნდა აღინიშნოს გურიის აქტიურობა. სამივე მუნიციპალიტეტიდან ჯამში 30 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი, კონკრეტულად ოზურგეთიდან -18.

გამოვლინდა სამი გამარჯვებული: **ლიზი მეტეხაძე**, 14 წლის, (სოფელი ჯუმათი,

გამიხარდებოდა. ნამდვილად ძლიერი კონკურენტები მყავდა. მუშაობის პროცესი ცოტა დამღლევი იყო. მეხმარებოდნენ ოჯახის წევრები, ბაბუა და ბებია. ასევე ჩემი ბიოლოგიის პედაგოგი ხათუნა მასწავლებელი მძღვედა რჩევებს, რა როგორ გამეკეთებინა. მინდა ყველას მოუწოდო, ჩვენი დედაჩემი ჩვენი სახლია, უნდა მოვუაროთ, შევეცადოთ, არ დავანაკვიანოთ“.

ორგანიზაციის „დაიცავი საქართველოს სისუფთავე“ კოორდინატორი გურიაში, **ნინო ცეცხლაძე** ამბობს, რომ კონკურსში გურია აქტიურად იყო ჩართული „ეს იყო ეკოსკოლების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული პირველი აქტიურობა. ეკოსკოლის პროგრამა არის უპრეცედენტო საქართველოში. როცა პროექტის განხორციელება დაიწყო მსოფლიო ეკოსკოლების რუკაზე დაიტანება საქართველო. თუ გავითვალისწინებთ უკვე ჩატარებულ კონკურსს, ვფიქრობ, რომ გურია იქნება აქტიური. ჩვენთან ძალიან კარგი ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. განსაკუთრებით აქტიურობდა ჯუმათის, ნარუჯის და იანულის სკოლები. გამოდინარე პანდემიური სიტუაციიდან, სკოლებთან თანამშრომლობა მოხდა დისტანციურ რეჟიმში“, - გვითხრა ნინო ცეცხლაძემ.

„დაიცავი საქართველოს სისუფთავეს“ ხელმძღვანელები

ლიზის სახლში ესტუმრნენ, სიგელი და ეკომეგობრული პრიზები გადასცეს. სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ ასევე კონკურსის სხვა მონაწილეებსაც.

აღნიშნული კონკურსი პროექტ ეკოსკოლის ფარგლებში, რომელიც განხორციელებაც ორგანიზაციამ „დაიცავი საქართველოს სისუფთავე“ აპრილის თვიდან დაიწყო, მსოფლიო მასშტაბის პროექტია. იგი გულისხმობს მოსწავლეებისა და მასწავლებლების ერთი საერთო მიზნის, გარემოს დაცვის ირგვლივ გაერთიანებას და მდგრადი სკოლების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. პროგრამა იწყება სკოლიდან და ახალი თაობის სწავლებით და მათი აქტიური ჩართულობით ვრცელდება მთელ საზოგადოებაზე. პროგრამა ხორციელდება შედეგების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

ასოციაციის „დაიცავი საქართველოს სისუფთავე“ საქმიანობის მიზნებია საქართველოს ბუნების დაცვა, ეკოლოგიისა და ეკოსისტემის შენარჩუნება, გაუმჯობესება. დანავიანების საწინააღმდეგო კამპანიები. ცნობიერების ამაღლება სასოფლო-სამეურნეო და სახიფათო ნარჩენების უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. ნარჩენებთან ბრძოლის თანამედროვე და საერთაშორისო მეთოდების და მექანიზმების შემუშავება.

გვალობელთა ტრიო „ხელხვავის“ პირველი დისკოს პრეზენტაცია



ალიონი. 16 ივნისს, შალვა რადიანის სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში მალობელ-მოდერალთა ტრიო „ხელხვაის“ პირველი აუდიოალბომის პრეზენტაცია გაიმართა.

ეს ანსამბლი 2013 წელს, გიორგი მთაწინიძის სახელობის გალობის უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ შექმნეს **ლამა ჩხარტიშვილმა** (ხელმძღვანელი), **მაშუკა სირაძემ** და **გურამ გუნთაძემ**.

როგორც მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმიანობისა და სოციალური სამსახურის უფროსმა **მარინა ჯაფარიძემ** განაცხადა, გაჩნდა იდეა, რომ შექმნილიყო ტრიო, რომელიც გააცოცხლებდა, ადავლენდა და პოპულარიზაციას გაუწევდა ძველ გურულ სიმღერებს და საგალობლებს.


ტრიო „ხელხვაი“ მრავალი კონკურს-ფესტივალის გამარჯვებულია, საიდანაც აღსანიშნავია საქართველოს ეროვნული ფესტივალი (2015-2016 წ.) და არტემ ერქომაიშვილის სახელობის გალობის კონკურსი.

ანსამბლ „ხელხვაის“ პარტნიორობას უწევდა ცნობილი ტრიო „შალვა ჩემო“, ტრისტან სინარულიძის ხელმძღვანელობით.

„ხელხვაის“ მიქსალბომი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი კონსტანტინე შარაშენიძე და გურიის გუბერნატორი **ზურაბ ნასარაია**.

წინამდებარე გამოცემა, ტრიოს აუდიო ალბომი ჩაიწერა პოტსდამის უნივერსიტეტის პროფესორ ფრენკ შერაუპის სამეცნიერო კვლევის ფარგლებში.

კურორტი გომისმთა – რა ხდება ახალ აღმინისტრაციულ ერთეულში



ალიონი. წელს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 30-ე ტერიტორიული ერთეული შეიქმნა – კურორტი გომისმთა დაბის სტატუსი მიენიჭა. შესაბამისად დაბას ეყოლება მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლები და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი.

კურორტის პერსპექტივებმა (3 წლის წინ დასრულდა კურორტზე წყალმომარაგების მთავარი მაგისტრალის მოწყობა,

შეგანილია შუქი, საგარეულოდ, წელს მოხდება ბუფერ-გომისმთის გზის კაპიტალური მშენებლობა და ა.შ.), ბევრ მოქალაქეს გაუჩინა სურვილი, რომ სააგარაკო სახლი ჰქონდეს გომისმთაზე და შარშან, ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ასეულობით სახლის მშენებლობა დაიწყო. „ალიონმა“ შარშან რამდენიმე სტატია მიუძღვნა ამ თემს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მძღველბას, შეეჩერებინა უკანონო თითქმის მშენებლობები, შედეგი არ მოპოვდა. ივნისის დასაწყისიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე მიმდინარეობდა ცალკეული ტერიტორიების მონიშვნა-დაკოლვის“ სამუშაოები, მშენებლობები. საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებს შეხვდებილით აქ, თანამდებობის პირებს, ძლოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს, ბიზნესმენებს, სასულიერო პირებს, ე.წ. „შვიდსამყაროს“ წარმომადგენლებს და ა.შ.

კურორტი გომისმთისთვის

დაბის სტატუსის მინიჭებამ ერთგვარი პერსპექტივა შექმნა კურორტის შემდგომი განვითარებისთვის, მაგრამ კურორტის ცენტრში ადარაა დარჩენილი ადგილი ადმინისტრაციული მუშაობის ასაგებად, სხვა ობიექტების მოსაწყობად.

ამჟამად, კურორტზე ათეულობით მშენებელი თუ დამსვენებელი იმყოფება. გასულ კვირამ გომისმთაზე იმყოფებოდნენ თესტიციის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც სააგარაკო სახლების მფლობელთა რეგისტრაციის საქმე უნდა მოაწესრიგონ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლის სოფელ შემოქმედში, **სოსო სადრადის** თქმით, თესტიციის სამინისტროს წარმომადგენლები კურორტზე მუშაობას ივლისის დასაწყისიდან დაიწყებენ, მანამდე კი დაბა გომისმთაზე დაინიშნება ოზურგეთის მერიის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი.

გენელი.

თესტიციის სამინისტროს (საგარო რეესტრი) ვერდიქტს ელოდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი **შუქრი გაბრიჩიძე**:

–დიდი მუშაობა გასწია შარშან ჩვენს სამსახურში. ჩვენს სპეციალისტებმა აღწერეს კურორტის ტერიტორიაზე ყველა სააგარაკო სახლი, დადგინდა მფლობელთა ვინაობა. იცით, ტრაქტორით ამოვთხარეთ რამდენიმე უკანონო მშენებლობის ადგილას ჩაბეტონებული ბიძები. თითქმის ყოველ მთვრელ დღეს იქ ვიყავით, ვფიქრობ, დაბა გომისმთაზე წარმომადგენლის დანიშნვის და თესტიციის სამინისტროს წარმომადგენლების მიერ ახალი რეგისტრაციის შემდეგ დასრულდება კურორტზე უკანონო მშენებლობები – გვითხრა შუქრი გაბრიჩიძემ.

მშენებლობები ასლაც მიმდინარეობს კურორტზე (ზოგს ადრე იქ სახლი ეგა და წლების

განმავლობაში დაენერა), ზოგი კი ახალ ადგილს ითვისებს.

ჩვენ, დღეს, ვლია თეზბიტელის მშენებარე ტაძრის მიმდებარე, გვერდგვერდ „კოლიანი მათუილით“ შემოღობილი სამი ნაკვეთი ვნახეთ. ვერ შეგებლით ამ სახლის ვინაობის დადგენა.

სოფელ შემოქმედის ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენლის, სოსო სადრადის თქმით, იგი რამდენიმე დღის წინ იყო კურორტზე და მშენებარე კვლევის მიმდებარე შემოღობილი ნაკვეთები არ უნახავს. ა-გვითხრა მან.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს ნაკვეთები საგარეულოდ, სასულიერო პირებმა შემოიღობეს, თუ რა მიზნით, არ იცინა.

ბუნებრივად ტაძრის აშენების შემდეგ მის მიმდებარე უნდა მოეწყოს სატრაპეზო, აიგოს კელიები, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში შემოიღობვის მიზანი უცნობია.

7 დღის ამინდის პროგნოზი

გზე, ღრუბელი +16+24 22 ივნისი ორშაბათი	გზე, ღრუბელი +17+28 23 ივნისი სამშაბათი	ღრუბელი +17+28 24 ივნისი ოთხშაბათი	წვიმა +15+22 25 ივნისი ხუთშაბათი	წვიმა +14+22 26 ივნისი პარასკევი	ღრუბელი +17+23 27 ივნისი შაბათი	ღრუბელი +14+24 28 ივნისი კვირა
---	--	---	---	---	--	---